დამტკიცებულია: შპს.ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა
პროგრესის გენერალური დირექტორის
ბრძანება

შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები

შპს. ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა

პროგრესი

-2023-

მუხლი1. ზოგადი დებულება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს.ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად.

მუხლი 2 შეფასების ვერიფიკაციის არსი

1.ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექნიზმი (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი).

შეფასების ვერიფიკაცია ამოწმებს შეფასების სისტემას 5 მახასიათებლის მიხედვით:

- ✓ ვალიდურობა
- ✓ სანდოობა
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ ობიექტურობა
- ✓ სამართლიანობა

შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

2. ვერიფიკაციას ხორციელდება სამი მიმართულებით:
   - ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ;
   - ✓ პროცესის ვერიფიკაცია;
   - ✓ მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
- ✓ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
- ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
- ✓ ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ)

4. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით.

5. ვერიფიკაციის მიზნით, სკოლაში ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი.

6. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი (ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობად შემუშავების პროცესში).

მუხლი 3. ვერიფიკაციის მექანიზმი და განხორციელების ეტაპები

1. ვერიფიკაცია წარიმართება შპს.ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა

პროგრესის მიერ შექმნილი წესის შესაბამისად. რომელიც პასუხობს სტანდარტის ყველა გამოწვევას.

2. შედეგების სწორი ანალიზი - არის შეფასების პროცესისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის, დაგეგმვის, შედეგის გაუმჯობესებისა და ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა.

3. ვერიფიკაცია განხორციელების ეტაპებია:

- ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა
- ✓ რისკების განსაზღვრა
- ✓ ვერიფიკაციის განხორციელება
- ✓ შედეგის ანალიზი
- ✓ უკუკავშირი - დაგეგმვა

მუხლი 4. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა

1. ხარისხის მართვის სამხახურის უფროსი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს , რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს სკოლის გენერალური დირექტორი. ჯგუფი შედგება: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (პროგრესის ჰოლდინგის სხვა სკოლების-ქუთაისის, თბილისის-შესაბამისი საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელი /მასწავლებელი) და საგნის მასწავლებელი.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

- უზრუნველყოფს განხორციელდეს სკოლის სერვისით შეთავაზებული ყველა საგნისთვის.
- კოორდინირებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და შესაბამისი კადრების შერჩევას ვერიფიკატორად;
- უზრუნველყოფს შიდა ვერიფიკატორებისათვის მეთოდური მითითებების მიცემას;
- უზრუნველყოფს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის მონიტორინგსა/ შეფასებას და ხარისხის სამსახურის უფროსისთვის ანგარიშის წარდგენას
- კოორდინირებას უწევს კადრების შემდგომი გადამზადება/განვითარების პროცესს, რომელიც ეფუძნება ვერიფიკატორებისაგან მიღებულ ინფორმაციას საგნის მასწავლებლის იდენტიფიცირებული საჭიროებების შესახებ;

ვერიფიკატორი
კონკრეტული საგნისთვის:

- ამოწმებს და ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობასა და სანდოობას;
- არჩევს შეფასების ნიმუშებს შეფასების პროცესის მონიტორინგის მიზნით;
- ამოწმებს და ადასტურებს შემფასებლის მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;
- ახდენს შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციას და მიღებულ ინფორმაციას აწვდის აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

შემფასებელი
არის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ კლასს და რომელიც შეფასებას ახორციელებს. კონკრეტული საგნის შემფასებელი (საგნის/კლასის მასწავლებელი):

- ქმნის შეფასების ინსტრუმენტს;
- აფასებს მოსწავლეს და აგროვებს მოსწავლის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- შეფასებასთან დაკავშირებით იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- შეფასების შემდეგ იძლევა მკაფიო და კონსტრუქციულ უკუკავშირს და მითითებებს,
- აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს.

მუხლი 5. რისკების სისტემა

1. სკოლა შეიმუშავებს რისკების სისტემას, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდება რისკ-ფაქტორები. ვერიფიკაციის განხორვიელებისას ყველა ინსტრუმენტის და პროცესის შემოწმება უნდა მოხდეს შერჩევითი პრინციპით.

2. შემუშავებული რისკების სისტემა გაუწევს დახმარებას პროცესების მართვასა და შეფასებას. შემუშავებულ რისკებში შესაძლოა აისახოს: გარემოებები (რისკების შედარებით დაბალი, საშუალო, მაღალი და კრიტიკული კოეფიციენტები) ხელისშემშლელი ფაქტორები , შესაძლო რისკები.

3. სკოლა ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს კრიტიკული კოეფიციენტის მქონე გარემოებებიდან დაბალ და საშუალო რისკების მქონე გარემოებებამდე.

4. სკოლა განახორციელებს ხელისშემშლელი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანას.

5. რისკების ანალიზის შედეგებში, სკოლა გაითვალისწინებს შესაძლო შეუსაბამობების მაღალ ალბათობას, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს: დამწყები მასწავლებლის ფაქტორით; შერჩევითი პრინციპით კვალიფიციური მასწავლებლის შემოწმება

მუხლი 6. ვერიფიკაციის განხორციელება

1. ვერიფიკაციას ექვემდებარება შემაჯამებელი დავალებები და სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული გამოცდები (დიაგნოსტიკური წერების). შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში უნდა განხორციელდეს:
   - ✓ შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
   - ✓ მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
   - ✓ მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
   - ✓ მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
   - ✓ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
   - ✓ შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
   - ✓ შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
   - ✓ შეფასების პროცესის სხვა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
   - ✓ მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;.

2.ვერიფიკაციის განხორციელებამდე ხდება ვერიფიკაციის გეგმის მომზადება. მოხდება მომზადებული შეფასების ინსტრუმენტების/შემაჯამებელი დავალებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის გეგმა მოიცავს შეფასების სავარაუდო პერიოდს, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის თარიღს, ჩატარებული შეფასების განხილვის თარიღს და მასწავლებელთა (შემფასებელ მასწავლებელთან) უკუკავშირის მიწოდების მიზნით გამართული შეხვედრის დროს. შემდგომი ხდება საგნის მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და მისი ვერიფიკაცია ვერიფიკატორის მიერ. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იქნა ვერიფიკატორების მიერ აღნიშნული საგნის შეფასების დროს წარსულში (გამონაკლისს წარმოადგენს საგანის სწავლების პირველი წელი ან /და ვერიფიკაციის პროცესის დაწყების პირველი წელი).

3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

4. შეფასების დაგეგმვა აისახება ფორმა N1-ის შესაბამის ნაწილში, რომელსაც ქვია „შეფასების დაგეგმვა“. ვერიფიკატორმა უნდა შეავსოს შეფასებამდელი ფორმა, დაადასტუროს რომ შეფასებამდელი პროცედურები დამაკმაყოფილებელია. იმ შემთხვევაში თუ ვერიფიკატორი თვლის, რომ შეფასების ინსტრუმენტს ან/და შემოწმების გეგმას სჭირდება მოდიფიცირება, აუცილებელია გაიწეროს დამატებითი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებას. ამგვარი აქტივობების ასახვისათვის გამოიყენება ფორმა N2.

5. შედეგების შეფასება და უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის.
მასწავლებლის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების შეფასების შემდეგ, ვერიფიკატორი არჩევს და განიხილავს შეფასების ნიმუშებს. საერთო რაოდენობის მინიმუმ 20%-ს და შედეგებს განაზოგადებ.
ვერიფიკატორი პირველ რიგში ადგენს, რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია შეფასების შემოწმებული (ვერიფიცირებული) ინსტრუმენტები. შეფასების პროცესში აღრიცხული ყველა მოსწავლისათვის არსებობს შეფასების მტკიცებულება.
მოსწავლეთა ნამუშევრები შეირჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ნამუშევრების შერჩევის შემდეგ, ვერიფიკატორი აკეთებს ჩანაწერს შერჩევის თითოეული აქტივობისათვის (როგორ შეარჩია). ეს ჩანაწერი საშუალებას მისცემს ვერიფიკატორს უზრუნველყოს მასწავლებლის (შემფასებლის) **უკუკავშირი** და დეტალურად ჩაწეროს ნებისმიერი საჭირო აქტივობა. სასურველია, რომ ვერიფიკატორის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები უკავშირდებოდეს როგორც შეფასების პროცესის დახვეწას და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ისე იმ სფეროების გამოვლენას, რომლებშიც საგნის მასწავლებელს სჭირდება გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.
შიდა ვერიფიკაციის შემდეგი ეტაპია ვერიფიკატორსა და შეფასების განმახორციელებელ პირს (მასწავლებელს) შორის შეხვედრის ჩატარება. მიმოხილვა უნდა ჩატარდეს: ყოველი შემაჯამებლის ჩატარების შემდეგ. შეფასების პროცესის ბოლოს ჩატარებული განხილვა მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე იმას, რომ ყველა ხარვეზი, რომელიც ვერიფიკატორმა გამოავლინა, მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორდეს. მეორე ეტაპზე განსახორციელებელი აქტივობები შეიძლება აისახოს ფორმა N1 ის ნაწილებში: „შედეგების შეფასება“ და „შეფასების შედეგების განხილვა“. იმ შემთხვევაში თუ ვერიფიკატორი თვლის, რომ ჩატარებული შეფასების პროცესის გაუმჯობესებისათვის/დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია დამატებითი აქტივობების განხორციელება, ის შეიმუშავებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ამგვარი აქტივობების ასახვისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ფორმა N2.
შევსებული ფორმა N1 და ფორმა N2 შიდა შემმოწმებელმა (ვერიფიკატორმა) უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

მუხლი 7. შერჩევის სტრატეგია.

1.ვერიფიკაციისას არ არის საჭირო, რომ ყველა მოსწავლის ნამუშევარი იქნას განხილულ.. თუმცა, საჭიროა საკმარისი რაოდენობის ნიმუშების შერჩევა იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რამდენად თანამიმდევრულ შეფასებას აკეთებენ მასწავლებლები და რამდენად იცავენ ისინი სტანდარტებს. მაგრამ, თუ ვერიფიკატორი შეფასების პროცესში დააფიქსირებს გარკვეულ შეუსაბამობას ანდა ხარვეზებს სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა.

შერჩევა უნდა განხორციელდეს შემდეგ დონეზე:

- მასწავლებლებს შორის
- საგნის მიხედვით სხვადასხვა საგნების მიხედვით;
- კლასებს შორის;
- კლასში მოსწავლეთა შორის.

შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნას:

- შერჩევაში შედიოდეს ორივე გენდერის წარმომადგენელი (თუ კი შესაძლებელი იქნება)
- სსსმ მოსწავლეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ნიმუში უნდა მოიცავდეს მოსწავლეს რომელმაც მიიღო დადებითი შეფასება და რომელმაც ვერ მიიღო დადებითი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.ვერიფიკატორმა უნდა დაადასტუროს შეფასების შედეგების სიზუსტე, რომელიც დაფუძნებული იქნება მათი ნიმუშის შედეგებზე ხელის მოწერის სახით.

მუხლი 8. შიდა შემოწმების დოკუმენტაცია

1.ვერიფიკაციის პროცესის ყოველი ეტაპი უნდა იყოს დოკუმენტირებული, რათა ხარისხის მართვის სამსახურის უფროსისთვის ხელმისაწვდომი იყოს ვერიფიკაციის ჩანაწერები, ვერიფიკაციის ეფექტურობის მონიტორინგის და სისტემაში ჩართული მხარეების უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

2.ვერიფიკაციის ჩანაწერების ფორმების ასლები საიმედოდ უნდა იყოს დაცული სკოლაში და საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი გარე ვერიფიკატორებისთვის

დანართები

დანართი 1. შეფასების პროცესის დაგეგმვა და შეფასება

საგნის შესახებ ინფორმაცია
საგანი, კლასი
ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ
მასწავლებელი:

ვერიფიკატორი:		
I. შეფასების დაგეგმვა	გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა	
	დიახ	**არა**
1. შეფასების ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდაცია		
2. შეფასებს ინსტრუმენტების მომზადებისას გათვალისწინებულია წინარე პერიოდში საგნის სწავლების დროს ვერიფიკატორის/ვერიფიკატორების მიერ გაცემული რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
3. განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა გათვალისწინებულია		

II შედეგების შეფასება და უკუკავშირის მიწოდება შემფასებლისათვის			
შეფასება N1			
საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით		შეფასების თარიღი	
		შემოწმების თარიღი (ვერიფიკატორის მიერ)	
ჩანაწერი შერჩევის შესახებ	შეფასებული მოსწავლეების რაოდენობა		
	შერჩევის მოცულობა		
მოსწავლე		კომენტარები (მოსწავლისშესახებ ან ზოგადი)	
1.			
2.			
3.			

4.	
5.	

ვერიფიკატორის ანგარიში (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა)	**დიახ**	**არა** *
1.გამოყენებულია შეფასების შემოწმებული (ვერიფიცირებული) ინსტრუმენტები		
2.მასწავლებლის დასკვნები სამართლიანია და თანმიმდევრული		
3.მოსწავლის შეფასების ჩანაწერები სწორია/ზუსტია		
დამატებითი განმავითარებელი კომენტარი (უკუკავშირი)		

ვერიფიკაციის გეგმა

სემესტრის ფარგლებში განსახორციელებელი შეფასებების რაოდენობა	**I:**	**II:**
შეფასების პერიოდი		
შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია		
შეფასების შერჩევა და განხილვა ვერიფიკატორის მიერ		
უკუკავშირი მასწავლებელთან		

დანართი 2

შეფასების ჩატარებამდე გასატარებელი ღონისძიებები		
პუნქტი	**აქტივობა**	**დასრულების თარიღი**

ვერიფიკატორი				**თარიღი**		
მხარდაჭერა / რჩევა	**დიახ**		**არა**			
დეტალები						
აქტივობის ჩანაწერი						
კომენტარები						
აქტივობის დასრულების თარიღი						
ვერიფიკატორი				**თარიღი**		
აღმასრულებელი დირექტორი				**თარიღი**		
დამატებითი ღონისძიებები / რეკომენდაციები						
ვერიფიკატორი			**თარიღი**			